საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №19/ნ

2026 წლის 20 თებერვალი

ქ. თბილისი

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 12/04/2019, სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.017693) დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-3 მუხლით გათვალისწინებული დეტალური სფეროს:

ა) „სოციალური კეთილდღეობა – არაკლასიფიცირებული Welfare, not elsewhere classified“ (კოდი – 0929) მეორე სვეტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ჩანაწერი:

„0929.2.1. „ბავშვის უფლებები Child Rights“;

ბ) ენის დაუფლება Language Acquisition“ (კოდი – 0231) პირველი სვეტის ჩანაწერი:

ბ.ა) „0231.1.2 ინგლისური ფილოლოგია English Philology“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„0231.1.2 ინგლისური ფილოლოგია/ანგლისტიკა English Philology/Anglistics“;

ბ.ბ) „0231.1.3 გერმანული ფილოლოგია German Philology“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„0231.1.3 გერმანული ფილოლოგია/გერმანისტიკა German Philology/Germanistics“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი